პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 24 (12536) | სამშაბათი 29 იანვარი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ

მეგობრების გზით

ᲯᲐᲙᲐᲠᲢᲐ, 28 იანვარი. (საკდესი). „გაუმარჯოს ინდონეზია-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“, „ კეთილი იყოს შენი მოსვლა, ანდრიან!“ — ამ სიტყვებით ესალმებოდა ქალაქ მადიუნის ათასობით მცხოვრები ანდრიან ნიკოლაევს, რომელიც იქ ჩავიდა.

მზადდება ახალი ავანტიურა

ᲙᲐᲘᲠᲝ, 28 იანვარი. (საკდესი). ყოველკვირეული „როზ-ელ-იუსეფ“ აქვეყნებს ცნობას ახალი ავანტიურის შესახებ, რასაც იემენის არაბთა რესპუბლიკის წინააღმდეგ ამზადებენ. საუდის არაბეთში, წერს იგი, ამერიკული და ინგლისური თვითმფრინავებით დასავლეთ გერმანიიდან ჩაქაფთ იარაღი და საომარი მასალა. ინგლისმა ადენსა და თავის პროტექტორატებში სამხრეთ არაბეთში გადაიყვანა ჯარის ახალი ქვედანაყოფები. საფრანგეთისა და ბელგიის გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობები, რომ მფრინავებს აგროვებენ საუდის სამხედრო-საჰაერო ძალებში.

ყოველკვირეული აღნიშნავს, შემდეგ, რომ საუდის პრინცმა ფეისალმა წინადადება მისცა შეერთებულ შტატებს გააახლონ შეთანხმება დაჰრაის სამხედრო ბაზის არენდის შესახებ.

ᲯᲐᲣᲨᲣᲨᲗᲐ ᲑᲣᲓᲔᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲞᲝᲑᲘᲚᲘᲐ

ᲯᲐᲕᲐᲜᲐ, 28 იანვარი. (საკდესი). სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა ორიენტაცია გაუკეთეს კონტრრევოლუციონერთა ორი ჯგუფი. ეს ჯგუფები იყო ცენტრები, რომლებიც კოორდინაციას უწევდნენ ჯაშუშურ და ძირგამომთხრელ საქმიანობას კუბაში.

ერთი ჯგუფი მოქმედებდა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უშუალო ხელმძღვანელობით, მეორე დაკავშირებული იყო ამერიკის გუანტანამოს სამხედრო-საზღვაო ბაზის სარდლობასთან.

„ᲛᲐᲠᲡᲘ-1“ ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ

საკდესის ცნობა

დაახლოებით სამი თვეა გრძელდება ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის „მარსი-1“ ფრენა პლანეტა მარსისაკენ. ამ ხნის განმავლობაში სადგურმა მზის გარშემო თავისი მოძრაობის დროს გაიარა დაახლოებით 230 მილიონი კილომეტრი მანძილი და დედამიწას დაშორდა 43 მილიონი კილომეტრით.

სადგურის „მარსი-1“ დედამიწისაგან დაშორების სიჩქარე განუწყვეტლივ იზრდება. თუ მაშინ, როცა სადგური დედამიწის მოქმედების სფეროდან გავიდა, სადგურის დაშორების სიჩქარე დაახლოებით 4 კილომეტრს შეადგენდა წამში, ამჟამად სიჩქარე 10,2 კილომეტრია წამში. ეს იმით აიხსნება, რომ დედამიწა და სადგური „მარსი-1“, რომლებიც თავიანთი ორბიტებით მოძრაობენ, მნიშვნელოვნად დაშორდნენ ერთმანეთს და უკვე არსებითად ვლინდება განსხვავება მზის მიმართ მათი მოძრაობის სიჩქარეთა მხრივ. მანძილმა დედამიწასა და სადგურს შორის ისეთ დიდ სიდიდეს მიაღწია, რომ სადგურში და უკან რადიოსიგნალების გავლის დრო მნიშვნელოვან ხანგრძლივობას აღწევს: 4 წუთსა და 47 წამს, მაშინ როცა, მაგალითად, მთვარიდან არეკლილი რადიოსიგნალის მისაღებად საჭიროა მხოლოდ 2 წამზე ცოტა მეტი.

სადგურთან დამყარებულია რეგულარული და მყარი რადიოკავშირი, როგორც დედამიწაზე მიღებული ტელემეტრიული მონაცემები ცხადყოფენ, სადგურში ტემპერატურა და წნევა შენარჩუნებულია ნავარაუდევ ფარგლებში: ტემპერატურა — 15-დან 20 გრადუსამდე ცელსიუსით ნულს ზემოთ, წნევა — ვერცხლისწყლის სვეტის 850 მილიმეტრი. იმის გამო, რომ გაიზარდა მანძილი სადგურ „მარსი-1“-სა და მზეს შორის, შესამჩნევად შემცირდა განათებულობა და შესაბამისად შემცირდა მზის ბატარიების დენი. ამიტომ ფრენის პროგრამის თანახმად 5 იანვარს განხორციელდა მზის ბატარიების ელემენტთა ჯგუფების გადართვა პარალელურ შეერთებაზე.



ℓ_1 - სადგურ მარს-I-ის მანძილი ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲓᲐᲜ 27.I.63წ.
ℓ_2 - სადგურ მარს-I-ის მანძილი ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲓᲐᲜ 27.I.63წ.
CT - სადგურის მიერ გავლილი გზა 27.I.63წ.
TB - მანძილი, რომელიც უნდა გაიაროს სადგურმა მარსთან მიახლოებამდე

სადგურის „მარსი-1“ ფრენის დაწყების შემდეგ მოეწყო 50-ზე მეტი რადიოკავშირის სეანსი. სადგურს გადაეცა ათასზე მეტი ბრძანება. ელექტროელემენტრული სისტემის დახმარებით მიეღებულია [illegible] ფოტო-[illegible].

ამ გამოკვლევათა წინასწარი მონაცემები შეიძლება უკვე ამჟამად გაუწყოთ, კერძოდ, გამოირკვა, რომ კოსმოსური სხივების ინტენსივობა საპლანეტათშორისო სივრცეში, რომელიც გაზომილია სადგურის „მარსი-1“ ფრენის დროს, რამდენიმე ათეული პროცენტით გაიზარდა იმ გაზომვებთან შედარებით, რაც 1959 წელს შეაორულეს საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტებმა. ეს განპირობებულია იმით, რომ ამჟამად ნაკლებია მზის აქტივობა. შეინიშნა აგრეთვე კოსმოსური გამოსხივების ინტენსივობის ზრდა სადგურის ფრენის პროცესში, რაც, ეტყობა, შეიძლება აიხსნას მზისაგან სადგურის „მარსი-1“ დაშორებით.

დედამიწისირგვლივ კოსმოსურ სივრცეში პლაზმის გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ, როგორც ეს ალმოჩნდა საბჭოთა კოსმოსური რაკეტების დახმარებით, დედამიწის იონიზებული გაზის გარსი განფენილია დაახლოებით 20 ათას კილომეტრ სიმაღლემდე.

კვლავ დადასტურდა დამუხტულ ნაწილაკთა ყველაზე გარე სარტყლის არსებობა, რომელიც საბჭოთა მეცნიერებმა აღმოაჩინეს. აღნიშნულია, რომ ამ სარტყელში გეომაგნიტური ველის მიერ შთანთქმული ნაწილაკების საერთო რიცხვი და მათი კონცენტრაცია გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე დედამიწასთან უფრო ახლო განლაგებულ რადიაციულ სარტყლებში.

პირველად არის მიღებული ვრცელი მონაცემები მზის პლაზმის ნაკადების შესახებ კოსმოსის იმ სფეროში, რომელიც უფროა დაშორებული მზისაგან, ვიდრე დედამიწა.

მეტეორული ნაწილაკების (გრამის ერთ მემილიარდედ ნაწილზე მეტი მასებიო) რეგისტრაციამ ცხადყო, რომ მეტეორული ნივთიერება შედარებით უფრო მკვრივია დედამიწიდან დაახლოებით 40-50 ათას კილომეტრ მანძილზე. დიდ მანძილებზე აღინიშნა, რომ ასეთი მასის ნაწილაკების რიცხვი მცირდება.

ამჟამად წარმოებს სადგურიდან „მარსი-1“ მიღებული მთელი მეცნიერული ინფორმაციის დამუშავება და გულდასმით შესწავლა.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: საბჭოთა საპლანეტათშორისო სადგურ „მარს-I“-ის ფრენის სქემა.

საკდესის ფოტოკრონიკა.

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

28 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მოსკოვს დაბრუნდა.

ბელორუსიის ვოგზალში ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატები და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები.

დ. მიხაილოვის ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲛᲐ ნ. ს. ხრუშჩოვმა მისალმება გაუგზავნა „თუმანზნავოობის“ ტრესტის № 1 ბურღვის კონტორის ბურღვის ოსტატს დიმიტრი ივანეს-ძე მიხაილოვსა და მბურღავთა ამ ბრიგადის ყველა მუშას.

ᲗᲐᲠᲨᲘᲡ მოწინავე კოლექტივმა გაბურღა 40 ათას მეტრზე მეტი ნავთობის ჭაბურღილი და 18 ათასი მეტრით გადაამტა წლიურ დავალებას. დაზოგილია 300 ათასი მანეთი სახელმწიფო სახსრები.

თქვენი ბრიგადის მუშაობის მაგალითი, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი, ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რა ამოუწურავი შესაძლებლობანი მოეპოვებათ ჩვენი ქვეყნის ნავთობისა და გაზის მრეწველობის ბურღვის საწარმოთა კოლექტივებს შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით ნ. ს. ხრუშჩოვი გულმხურვალედ ულოცავს მბურღავებს დიდ საწარმოო მოღწევებს და უსურვებს მათ ჯანმრთელობასა და შრომითს წარმატებებს შვიდწლედის მეხუთე წელს.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ნ. ს. ხრუშჩოვის სახელზე გაგზავნილ წერილში ბრიგადის ხელმძღვანელი დ. მიხაილოვი იუწყება, თუ როგორ შრომობდა ბრიგადა, როგორ მიაღწია ესოდენ მაღალ მაჩვენებლებს, თუ რა დიდი რეზერვები მოეპოვებათ მბურღავებს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. (საკდესი).

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲢᲐᲠᲐᲡ ᲨᲔᲕᲩᲔᲜᲙᲝᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 150 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მ. ს კ ო ვ ი. (საკდესი). გაიმართა ტ. გ. შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავის (რომელიც 1964 წლის მარტში სრულდება) მომზეყობი სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტის სხდომა.

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ს. ტიხონოვმა განაცხადა, რომ იუნესკოს გენერალური კონფერენციის XII სესიამ გადაწყვიტა ტ. შევჩენკოს იუბილე მოაწყოს მსოფლიოს მასშტაბით.

სხდომის მუშაობაში მონაწილე მწერლებმა, ხელოვნების მოღვაწეებმა, მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებმა განიხილეს იუბილეს მოწყობის გეგმა, მოისმინეს ინფორმაცია დიდი კობზარის ძეგლის საუკეთესო პროექტის კონკურსის შესახებ.

მწერლის ნაწარმოებებს გამოუშვებენ მოსკოვის ცენტრალური გამომცემლობანი — მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა, „სოვეტსკი პისატელი“, საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა. შევჩენკოს ლექსები და პოემები გამოიცემა აგრეთვე გერმანულ, ინგლისურ და ესპანურ ენებზე.

მოსკოვში მოეწყობა ტ. გ. შევჩენკოს ფერწერითი ტილოების, აგრეთვე მისდამი მიძღვნილ ნაწარმოებთა გამოფენა.

უკრაინაში ზეიმისათვის მზადება სხდომას, გააცნო რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის წევრმა ი. გ. ტურბაიმ.

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲛᲐᲚᲘᲜᲝᲕᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 26 იანვარი. (საკდესი). დღეს მალინოვსკის რესპუბლიკის დედაქალაქ ბამაკოდან მოსკოვს დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია. მალის ეროვნული კრების მიწვევით საბჭოთა პარლამენტარები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის ი. ვ. პეტროვის მეთაურობით ეცნობოდნენ ფერიკის ახალგაზრდა რესპუბლიკის ცხოვრებას.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲙᲣᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ საღამოს ვოლგოგრადიდან თბილისში სპეციალური თვითმფრინავით „ილ-14“ ჩამოვიდა კუბის რესპუბლიკის მთავრობის საავტო დელეგაციის წევრთა ჯგუფი საგარეო ვაჭრობის მინისტრის ალბერტო მორას მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საგეგმო-ეკონომიური სამმართველოს დირექტორი ალბერტო ბრავო, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მანქანებისა და მოწყობილობის იმპორტის სამმართველოს დირექტორი არიელ პიკოტი და სხვები.

კუბის დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მუდმივი საგაჭრო წარმომადგენელი კუბაში ბ. ო. საკუნი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსი ი. ი. დოკუჩაევი, რომლებიც თან ახლავან დელეგაციას საბჭოთა ქვეყანაში მოგზაურობის დროს.

აეროდრომზე კუბელ მეგობრებს გულთბილად შეხვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ბ. ლაბახუა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე გ. ი. ოგოგაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი რ. ი. ფრუნძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგოშვილი, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე რ. ს. ელიგულაშვილი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან მ. დ. მამისარაშვილი, პრესის წარმომადგენლები.

(საკდესი).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲘᲡ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXII ყრილობის, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის მარტისა და ნოემბრის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, 1962 წელს მოიპოვეს შემდეგი წარმატებანი ეკონომიკის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების კულტურული დონის ამაღლებაში.

I.

მრეწველობა

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის მეოთხე წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის და გადაჭარბებით შეასრულეს 1962 წლის გეგმა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობისა და მეტ წილ ძირითად სახეობათა ნაწარმის მიხედვით.

წლიური გეგმის გადამეტებით წარმოებულია: მანგანუმის მადანი, თუჯი, ფოლადი, ხაღლინი, ფოლადის მილები, კოქსი, ქვანახშირი, ფეროშენადნობების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა, კოშკურა ამწეები, ელექტროკარები, ტრაქტორები, ტრაქტორის კულტივატორები, ცემენტი, შიფერი, ქაღალდი, ტრიკოტაჟის საცვლები და ზედა ტრიკოტაჟი. ხორცი, საკონდიტრო და მაკარონის ნაწარმი, ნატურალური ჩაი, პაპიროსი და სიგარეტი, ყურძნის ღვინო და სხვა სახეობათა ნაწარმი.

საქართველოს სსრ მრეწველობამ, მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა მრეწველობამ და სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ 1962 წლის მთლიანი პროდუქციის წარმოების სახელმწიფო გეგმა შეასრულეს 103 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოების მრეწველობამ კი — 107 პროცენტით.

რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მოცულობა 1961 წელთან შედარებით გაიზარდა 10 პროცენტით, მინისტრთა საბჭოსა და სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი დაქვემდებარებულ მრეწველობაში — 11 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოების მრეწველობაში — [illegible] პროცენტით.

შვიდწლედის ოთხ წელიწადში რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია გადიდდა 30 პროცენტით და მეტად, რაც აღემატება საკონტროლო ციფრების გაანგარიშებაში გათვალისწინებულ დავალებას.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული სახელმწიფო მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების მთლიანმა პროდუქციამ 1962 წელს 1961 წელთან შედარებით შეადგინა:

	1962 წელი პროცენტობით 1961 წელთან შედარებით
[illegible] მეტალურგია	104
[illegible]ობის მრეწველობა	104
[illegible]ელექტროენერგიისა და თბოენერგიის წარმოება	107
[illegible]ანთმშენებლობა და ლითონდამუშავება	120
[illegible]ბიური მრეწველობა	105
[illegible]ეფ მასალათა მრეწველობა	107
[illegible]-ტყის, ქაღალდისა და ხის დასამუშავებელი მრეწველობა	103
[illegible]ებელი მრეწველობა	105
აქედან საფეიქრო მრეწველობა	107
კვების მრეწველობა	115
აქედან:	
ხორცის მრეწველობა	102
კარაქის, ყველისა და რძის სხვა პროდუქტების წარმოება	105
მეღვინეობა	131
ჩაის მრეწველობა	111
თამბაქოს მრეწველობა	74

მთლიანი პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა იმ სამრეწველო საწარმოებმა, რომლებიც განლაგებულია აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, შეასრულეს 99,3 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე — 104 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე — 105 პროცენტით, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე — 104 პროცენტით.

1961 წელთან შედარებით მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ზრდამ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში შეადგინა 0,7 პროცენტი, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 10 პროცენტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 9 პროცენტი, ქალაქ თბილისში — 7 პროცენტი.

მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოების 1962 წლის გეგმის შესრულება და წარმოების საერთო მოცულობის ზრდა 1961 წელთან შედარებით სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივი სამმართველოებისა და ტრესტების ხაზით ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1962 წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1962 წელი 1961 წელთან შედარებით
სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობა	103	111
მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველო	101	106
მანქანათმშენებელი მრეწველობის სამმართველო	102	120
ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთ-მშენებელი მრეწველობის სამმართველო	104	128
ენერგეტიკული მეურნეობის სამმართველო	102	108
საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველო	102	105
ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო	105	105
საფეიქრო მრეწველობის სამმართველო	102	107
მსუბუქი მრეწველობის სამმართველო	100,1	102
ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველო	102	102
ჰიალურის მარგანეცის ტრესტი	103	100,9
ტყიბულის ქვანახშირის ტრესტი	102	111
ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი	102	99,9
ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა სამმართველო	90	87
საქართველოს შახტმშენის ტრესტი	112	127
სამთამადნო მრეწველობის ტრესტი	108	101
საქართველოს ნავთობის ტრესტი	105	103
საქართველოს ჩაის ტრესტი	106	111
სამტრესტი	105	130
საქართველოს კონსერვტრესტი	105	125
საქართველოს პურისა და საკონდიტრო მრეწველობის ტრესტი	105	106
საქართველოს მცენარეული ცხიმისა და ეთეროვანი ზეთის ტრესტი	102	118
საქართველოს თამბაქოს ტრესტი	89	74
საქართველოს მინერალური და ხილის წყლების ტრესტი	104	105
საქართველოს ტორფის ტრესტი	106	146

თუმცა მთლიანად სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმა შესრულებულია, მაგრამ მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ უზრუნველყვეს გეგმის შესრულება. სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა საერთო რიცხვიდან წლიური გეგმა ვერ შეასრულა 46 საწარმომ, ანუ 9 პროცენტმა. ამ საწარმოებმა სახელმწიფოს დააკლეს 19,5 მილიონი მანეთის პროდუქცია.

იმ საწარმოთა შორის, რომლებმაც ვერ შეასრულეს მთლიანი პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა, არიან ბათუმის კოფეინის ქარხანა, რომელმაც გეგმა 87 პროცენტით შეასრულა, თბილისის ქარხანა „მიკროძრავა“ — 84 პროცენტით, ფოთის ელექტროძანქარი გამაძლიერებელთა ქარხანა — 82 პროცენტით, ლაჯანურჰესი — 88 პროცენტით, გორის ბამბეულის კომბინატი — 96 პროცენტით, სამტრედიის ბამბის სართავი ფაბრიკა — 73 პროცენტით, თბილისის მოდელის ფეხსაცმლის ფაბრიკა — 97 პროცენტით, დრანდის ჩაის ფაბრიკა — 88 პროცენტით, გუდაუთის ჩაის ფაბრიკა — 75 პროცენტით, და ზოგიერთი სხვა.

რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა მთლიანი პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა შეასრულეს 102 პროცენტით, აქედან სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სამრეწველო საწარმოებმა — 116 პროცენტით, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საწარმოებმა — 107 პროცენტით, კულტურის სამინისტროს საწარმოებმა — 105 პროცენტით, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებმა — 104 პროცენტით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს საწარმოებმა — 103 პროცენტით, კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საწარმოებმა — 100,9 პროცენტით, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ საწარმოებმა — 93 პროცენტით.

თუმცა ადგილობრივი საბჭოების მრეწველობის ხაზით მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმა შესრულდა, მაგრამ წლიური გეგმა ვერ შეასრულეს სამგორის, დუშეთის, ყაზბეგის, ქარელის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მესტიის, საგარეჯოს, თეთრი წყაროს, ხაშურის, ცაგერის, წალკის, წულუკიძის, ჩოხატაურის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატებმა. ამ საწარმოებმა სახელმწიფოს დააკლეს დაახლოებით 2 მილიონი მანეთის პროდუქცია.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტმა წილმა საწარმოებმა შეასრულეს თუჯისა და ფოლადის სხმელის, ნატვიფრისა და ნაპედის კოოპერირებული მიწოდების წლიური გეგმა. მაგრამ ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

	წარმოებულია 1962 წელს	1962 წელი პროცენტობით 1961 წელთან შედარებით
თუჯი — ათასი ტონა	787	106
ფოლადი — ათასი ტონა	1246	107
ნაგლინი — ათასი ტონა	944	107
ფოლადის მილები — ათასი ტონა	371	103
მთლიანი კოქსი — ათასი ტონა	641	106
ქვანახშირი — ათასი ტონა	2758	103
ელექტროენერგია — მილიონი კილოვატ-საათი	3840	107
მინერალური სასუქები — ათასი ტონა	343	114
სამაგისტრალო ელმავლები — ცალი	160	133
სატვირთო ავტომობილები — ცალი	7808	130
ლითონსაჭრელი ჩარხები — ცალი	4240	108
კოშკურა ამწეები — ცალი	134	124
ელექტროკარები — ცალი	2048	129
სასოფლო-სამეურნეო მანქანები (სათაბარიგო ნაწილების გარდა) — ათასი მანეთი	998	82
ცემენტი — ათასი ტონა	1303	100
შიფერი — მილიონი პირობითი ფილა	55,9	103
ავეარი (დამხმარე საწარმოთა და კოლმეურნეობათა წარმოების გარდა) — მილიონი ცალი	352	98
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები—ათასი კუბური მეტრი ნაკეთობა	424	123
ქაღალდი — ათასი ტონა	33,9	102
ავეჯი — მილიონი მანეთი	20,6	105
სარეცხი მანქანები — ათასი ცალი	33,0	216
ბამბის ქსოვილები — მილიონი გრძივი მეტრი	54,8	104
აბრეშუმის ქსოვილები — მილიონი გრძივი მეტრი	20,9	108
შალის ქსოვილები — მილიონი გრძივი მეტრი	5,1	101
წინდები — მილიონი წყვილი	8,4	102
ტრიკოტაჟის საცვლები — მილიონი ცალი	12,2	123

ჩვენი ზრდისა და წინსვლის ციფრები

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

(დასასრული)

ზედა ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი	3,4	115
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	10,4	97
პიანინოები და როიალები — ცალი	4004	110
ხორცი პირველ კატეგორიის სუბპროდუქტების ჩათვლით (სამრეწველო გამომუშავება კოოპერაციული მრეწველობის საწარმოთა გარდა) — ათასი ტონა	37,6	102
ერბო-კარაქი (ცოლმეურნეობებისა და მოსახლეობის შინაწარმოების გარდა) — ტონა	914	90
ყველი — ათასი ტონა	8,6	106
მარგარინის ნაწარმი — ათასი ტონა	11,7	109
კონსერვები — მილიონი პირობითი ქილა	120,2	88
საკონდიტრო ნაწარმი — ათასი ტონა	18,6	109
მაკარონის ნაწარმი — ათასი ტონა	13,8	110
ნატურალური ხორცისხოვანი დაფასოებული ჩაი — ათასი ტონა	10,4	118
შაქრის ჭარხლისაგან მიღებული ფხვნილი შაქარი — ათასი ტონა	11,9	92
პაპიროსი და სიგარეტი — მილიარდი ცალი	12,2	87
ყურძნის ღვინო — მილიონი დეკალიტრი	7,4	153
შამპანური — მილიონი ბოთლი	6,9	100,5
სპირტი — ათასი ტონა	13,4	98

მნიშვნელოვნად გაიზარდა მძიმე მრეწველობის პროდუქციის წარმოება. 1961 წელთან შედარებით წარმოებულია მეტი: თუჯი — 55,4 ათასი ტონა, ფოლადი — 77,4 ათასი ტონა, ნაგლინი — 64,9 ათასი ტონა, ფოლადის მილები — 10,8 ათასი ტონა, ქვანახშირი — 86 ათასი ტონა, კოქსი — 36,7 ათასი ტონა, ელექტროენერგია — 239 მილიონი კილოვატსაათი, სამაგისტრალო ელმავლები — 40 ცალი, სატვირთო ავტომობილები — 1721 ცალი, ლითონსაჭრელი ჩარხები — 327 ცალი, კომპრესორ ამწეები — 26 ცალი და სხვ.

გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. 1961 წელთან შედარებით წარმოებულია მეტი: ავეჯი — 952 ათასი მანეთისა, სარეცხი მანქანები — 17,7 ათასი ცალი, ბამბის ქსოვილები — 1875 ათასი კვადრატული მეტრი, აბრეშუმის ქსოვილები — 1533 ათასი კვადრატული მეტრი, შალის ქსოვილები — 67 ათასი კვადრატული მეტრი და სხვა სახეობათა ნაწარმი.

თუმცა წინა წელთან შედარებით გაიზარდა წარმოება, მაგრამ რაშდენადმე არ შესრულებულა ელექტროენერგიის, მინერალური სასუქების, სინთეზური ძმაიკის, ლითონსაჭრელი ჩარხების, სატვირთო ავტომობილების, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, ბამბის ქსოვილების, წინდების წარმოების გეგმა.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა, სამშენებლო ორგანიზაციებმა, სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა, საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებმა დიდი მუშაობა განახორციელეს იმისათვის, რომ დაენერგოთ წარმოებაში საწარმოო პროცესთა მექანიზაციის, ავტომატიზაციისა და მოწინავე ტექნოლოგიის ღონისძიებანი. 1962 წელს რესპუბლიკის მრეწველობაში დაინერგა 220-ზე მეტი ღონისძიება, მათ შორის საწარმოო პროცესთა მექანიზაციის ხაზით — დაახლოებით 115 ღონისძიება, საწარმოო პროცესთა ავტომატიზაციის ხაზით — 35 ღონისძიება და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის ხაზით — 75-ზე მეტი ღონისძიება.

გასულ წელს განახორციელდა დაახლოებით 400 სახეობის ჩარხისა და სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობის, მათ შორის მანქანათა-საშენებელ საწარმოთა დაახლოებით 230 ერთეულის მოდერნიზაცია.

ათვისებულია სერიული წარმოებისათვის 35-ზე მეტი ახალი მანქანა, ელექტროტექნიკური ნაკეთობა, ხელსაწყო და სხვა სახეობათა მრეწველობის პროდუქცია, დამზადებულია სრულიად ახალი მანქანებისა და მექანიზმების დაახლოებით 40 ნიმუში.

რესპუბლიკის რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა 1962 წელს შეიტანეს 17 ათასზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება, აქედან სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობის მუშაკებმა 14 ათასზე მეტი წინადადება. 1962 წელს დაინერგა 11 ათასზე მეტი წინადადება; გამოანგარიშებულია, რომ 6 ათასი წინადადების დანერგვით მიღებული ეკონომია წელიწადზე გაანგარიშებით შეადგენს დაახლოებით 15 მილიონ მანეთს.

სამრეწველო საწარმოებმა შრომის ნაყოფიერების წლიური გეგმა ძირითადად რესპუბლიკაში შეასრულეს. წინა წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერების ზრდამ შეადგინა 8 პროცენტი.

1962 წლისათვის დადგენილი გეგმა ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე ხარჯების შემცირებისა სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა შეასრულეს. მთელი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულმა ზოგგვმთმა ეკონომიამ, წმასწორი მონაცემებით, შეადგინა 9,3 მილიონი მანეთი.

სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების შედეგად 1962 წელს 1961 წელთან შედარებით მოგება გაიზარდა 16 პროცენტით.

II.

სოფლის მეურნეობა

1962 წლის მოსავლის ნათესმა ფართობებმა შეადგინა 804 ათასი ჰექტარი და წინა წელთან შედარებით გადიდდა 26 ათასი ჰექტარით. მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურების ნათესმა ფართობებმა შეადგინა 505 ათასი ჰექტარი, ნაცვლად 467 ათასი ჰექტარისა 1961 წელს. ცოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბალახებით დაკავებული ფართობები 21,9 ათასი ჰექტარით შემცირდა.

ბორბლის, მარცვლეულის, მათ შორის ბარდის, მზესუმზირისა და პირუტყვის საკვები შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობები ძირითადად გადიდდა ნათესი ბალახების შემცირების ხარჯზე.

1963 წლის მოსავლის საშემოდგომო თესვის გეგმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 117 პროცენტით შეასრულეს. გადაჯარბებით შესრულდა მზრალად ხვნის გეგმა.

ტრაქტორებით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობამ პირობით ხვნაზე გადაყვანით შეადგინა 3185 ათასი ჰექტარი, ნაცვლად 2593 ათასი ჰექტარისა 1961 წელს.

1962 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გააშენეს 6,4 ათასი ჰექტარი ხეხილის ბაღები, 6,8 ათასი ჰექტარი ვენახები, 1,4 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაციები, 500 ჰექტარზე მეტი ციტრუსები და დაახლოებით 600 ჰექტარი დაფნა. მაგრამ მრავალწლიან ნარგავთა გაშენების გეგმა, გარდა დაფნისა, მთლიანად ვერ შესრულდა.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პირნათლად შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის დარგში ნაკისრი ვალდებულებანი. ნაცვლად ნაკისრი ვალდებულებისა გათვალისწინებული 170 ათასი ტონისა, მოკრეფილია 170,4 ათასი ტონა. ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა 10 პროცენტი გადაჭარბებით შესრულდა. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებულია აგრეთვე ყურძნის, ხილის, ციტრუსებისა და დაფნის ფოთლის შესყიდვის გეგმა.

მიწათმოქმედების ძირითად პროდუქტთა სახელმწიფო შესყიდვამ შეადგინა:

	ათასი ტონა		
	1953 წელი	1961 წელი	1962 წელი
ყურძენი	82,6	146,3	204,8
ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი	107,2	154,6	170,4
თესლოვანი და კურკოვანი ხილი	37,0	105,6	111,3
ციტრუსები	18,3	37,4	39,8
დაფნის ფოთოლი	0,4	1,3	1,4
ეთერზეთოვანი კულტურები	3,7	12,0	13,7
კარტოფილი	11,6	15,2	18,2
ბოსტნეული	23,0	51,4	52,0

პირუტყვის სულადობამ აღწერის მონაცემებით 1963 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა:

ყველა კატეგორიის მეურნეობანი		მათ შორის კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი და სხვა სახელმწიფო მეურნეობანი	
	ათასი სული	1962 წლის 1 იანვრისათვის შედარებით პროცენტი	ათასი სული	1962 წლის 1 იანვრისათვის შედარებით პროცენტი
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	1472,0	100,4	685,7	101
აქედან ძროხა	561,6	99,8	187,0	102
ღორი	547,9	100,7	260,8	105
ცხვარი და თხა	2187,7	105,0	1458,1	105
აქედან ცხვარი	2013,2	106,0	1400,9	105

1961 წელთან შედარებით ყველა კატეგორიის მეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გადიდდა 6,4 ათასი სულით, ღორისა — 3,6 ათასი სულით, ცხვრის და თხისა — 106,7 ათასი სულით; ძროხის სულადობა შემცირდა 1,2 ათასი სულით.

პირუტყვის სულადობის ზრდა მიღწეულია საზოგადოებრივი სულადობის ზრდის შედეგად.

1961 წელთან შედარებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გოქის, ბატკნისა და ცოცხის ნამატის გამოსაკვლიანობა 100 დედაზე გაიზარდა. ხბოს გამოსაკვლიანობა დარჩა 1961 წლის დონეზე და ჯერ კიდევ დაბალია.

მეცხოველეობის პროდუქტთა წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1953 წელი	1961 წელი	1962 წელი (წინასწარული)
ხორცი და ქონი (ნაკლავის წონით) — ათასი ტონა	73	93	84
რძე — ათასი ტონა	334	469	458
კვერცხი — მილიონი ცალი	180	255	264
მატყლი — ტონა	4400	4077	4565

მეცხოველეობის პროდუქტთა წარმოების დონეზე 1962 წელს ზეგავლენა იქონია იმან, რომ მნიშვნელოვნად არ შესრულებულა ხუნში საკვებისა და სილოსის დამზადების გეგმა 1961 წლის ხანგრძლივი გვალვის გამო.

მეცხოველეობის პროდუქტთა სახელმწიფო შესყიდვამ 1962 წელს შეადგინა:

	1953 წელი	1961 წელი	1962 წელი	1962 წელი პროცენტი 1961 წელთან შედარებით
ყველა კატეგორიის მეურნეობანი				
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონით) — ათასი ტონა	32,8	54,8	52,6	96
რძე და რძის პროდუქტები (რძეზე გადაანგარიშებით) — ათასი ტონა	60,7	133,2	134,1	100,7
კვერცხი — მილიონი ცალი	15,0	57,1	64,2	112
მატყლი — ათასი ტონა	3,6	4,7	5,0	107
კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი და სხვა სახელმწიფო მეურნეობანი				
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონით) — ათასი ტონა	23,8	38,2	34,9	91
რძე და რძის პროდუქტები (რძეზე გადაანგარიშებით) — ათასი ტონა	42,6	127,5	128,3	100,6
კვერცხი — მილიონი ცალი	7,6	36,2	41,8	115
მატყლი — ათასი ტონა	3,6	3,1	3,5	111

1961 წელთან შედარებით ყველა კატეგორიის მეურნეობებში რძის სახელმწიფო შესყიდვა გადიდდა თითქმის 10 ათასი ტონით, კვერცხისა — 7,1 მილიონი ცალით და მატყლისა — 300 ტონით, პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვა კი რაშდენადმე შემცირდა.

III.

კაპიტალური მშენებლობა

სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაეცა მთელი რიგი ახალი საწარმოო სიმძლავრენი. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების ხაზით ამოქმედდა 18 პროცენტი მეტი ძირითადი ფონდები, ვიდრე 1961 წელს.

გასულ წელს მწყობრში ჩადგა 24 სამრეწველო საწარმო და ცალკეული საამქროები ძოქმედ საწარმოებში.

ძვ მეტალურგიაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ცენტრალური საბოლოოდ გადასამუშავებელი ფაბრიკა. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში რეკონსტრუქციებმა მარტენის ღუმელები, აშენდა მილსაგლინავი საამქროს თერმული განყოფილება.

ქიმიურ მრეწველობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის საცდელი წარმოება.

საშენ მასალათა მრეწველობასა და სამშენებელო ინდუსტრიაში საექსპლოატაციოდ გადაეცა რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოების სიმძლავრენი.

ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დასამუშავებელ მრეწველობაში ამოქმედდა ლახერნილი მასალების, ავეჯისა და შერჩნის მასის წარმოების სიმძლავრენი, გაყვანილია ხე-ტყის გამოსაზიდი ახალი გზები.

მანქანათმაშენებელ მრეწველობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა მაგისტრალური ელმავლების, სატვირთო ავტომობილების წარმოების დამატებითი სიმძლავრენი.

მწყობრში ჩადგა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები.

მუშებულ მრეწველობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა. გარდა ამისა, მსუბუქ მრეწველობის საწარმოებში გადიდდა ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილების, ბამბის ნართის, წინდებისა და შეკერილი ნაწარმის, აგრეთვე მაგარი ტყავის წარმოების სიმძლავრენი.

კვების მრეწველობაში აშენდა მთელი რიგი ახალი სამრეწველო საწარმოები: ჩაის, კონსერვის, პურ-ფფანთუშეულის, ღვინისა და სხვა საწარმოები. გადიდდა სიმძლავრეები ხორცისა და რძის მრეწველობაში.

რესპუბლიკის ქალაქებში აშენდა მთელი რიგი ახალი ტელეფონის სადგურები, ზოგიერთ მოქმედ სადგურში შემოღებულია ავტომატური კავშირი.

აგებულია 31 კილომეტრი საავტომობილო გზა, რომელსაც მაგარი საფარი აქვს.

მნიშვნელოვნად გადიდდა რესპუბლიკაში სარწყავი მიწებისა და ნაწყლიერებული საძოვრების ფართობი.

საბჭოთა მეურნეობებში გადიდდა ბოსლებისა და საღორეების, ფარეხებისა და საფრინველეების ტევადობა.

ამავე დროს ვერ შესრულდა ძირითადი ფონდებისა და მთელი რიგი საწარმოო სიმძლავრეების ამუშავების წლიური გეგმა.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულმა კაპიტალურმა დაბანდებამ შეადგინა 296 მილიონი მანეთი და 1961 წელთან შედარებით 11 პროცენტით გადიდდა.

შარშანდელთან შედარებით კაპიტალური დაბანდება გაიზარდა ფერად მეტალურგიაში 65 პროცენტით, ნავთობის მრეწველობაში — 28 პროცენტით, ელექტროსადგურებში, ელექტროქსელებსა და თბოქსელებში — 25 პროცენტით, ქიმიურ მრეწველობაში — 28 პროცენტით, ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდასამუშავებელ მრეწველობაში — 11 პროცენტით, მსუბუქ მრეწველობაში — 9 პროცენტით, კვების მრეწველობაში — 13 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში — 30 პროცენტით, ტრანსპორტზე — 16 პროცენტით, კავშირგაბმულობაში — 19 პროცენტით, ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში — 22 პროცენტით.

კაპიტალური დაბანდებისა და სამშენებლო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმის შესრულება იმ სახსრებით, რაც სახელმწიფო გეგმით გამოყოფილია რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით, ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1962 წლის გეგმის შესრულების პროცენტი		1962 წელი პროცენტი 1961 წელთან შედარებით	
	კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა	სამშენებლო - სამონტაჟო სამუშაოები	კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა	სამშენებლო - სამონტაჟო სამუშაოები
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული საწარმოები და ორგანიზაციები — სულ	94	99,2	111	106
აქედან:				
სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციები და საწარმოები	91	98	109	101
მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველო	86	99	124	118
მანქანათმაშენებელი მრეწველობის სამმართველო	96	97	111	105
ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმაშენებელი მრეწველობის სამმართველო	83	82	101	98
ენერგეტიკული მეურნეობის სამმართველო	109	138	99	90
საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველო	89	92	109	104
ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო	98	115	111	119
საფეიქრო მრეწველობის სამმართველო	89	92	112	108
მსუბუქი მრეწველობის სამმართველო	91	85	103	77
ტყიბულის ქვანახშირის ტრესტი	79	84	91	82
ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი	100,5	99,1	96	92
ახალციხის ქვანახშირის მაღაროთსამმართველო	115	111	47	40
საქართველოს შახტების მშენებლობის ტრესტი	101	105	187	3,7-ჯერ
საქართველოს ნავთობის ტრესტი	102	76	117	68
ჭიათურის მარგანეცის ტრესტი	82	75	89	83
საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ტრესტი	85	90	129	134
საქართველოს ჩაის ტრესტი	110	104	94	98
სამტრესტი	103	114	92	77
საქართველოს პურისა და საკონდიტრო მრეწველობის ტრესტი	86	94	87	84
საქართველოს მინერალური და ხილის წყლების ტრესტი	79	57	71	65
საქართველოს კონსერვტრესტი	99,0	91	175	147
საქართველოს თამბაქოს ტრესტი	113	79	167	99,1
საქართველოს მცენარეული ცხიმისა და ეთეროვანი ზეთის ტრესტი	83	80	120	92
საქართველოს ტორფის ტრესტი	76	73		
რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებანი	95	96	120	117
სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო	92	92	136	132
წყალთა მეურნეობის სამინისტრო	100,9	104	131	131
მშენებლობის სამინისტრო	93	103	75	67
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	107	105	120	125
კავშირგაბმულობის სამინისტრო	92	96	119	142
ვაჭრობის სამინისტრო	99,1	99,3	119	120
განათლების სამინისტრო	99	102	109	111
კულტურის სამინისტრო	82	84	104	114
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	82	85	95	94
გაერთიანება „საქსოფლტექნიკა"	99	105	138	149
გზატაკილების მთავარი სამმართველო	96	94	93	89
საქართველოს პროფსაბჭოს კურორტების სამმართველო	93	99	99,1	94
მეცნიერებათა აკადემია	79	93	91	99
ადგილობრივი საბჭოები	101	107	100,7	101

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა მოიჯარე სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებმა საკუთარი ძალებით შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა გასულ წელთან შედარებით 9 პროცენტით გაადიდეს, აქედან სახალხო მეურნეობის საბჭოს მოიჯარე ორგანიზაციებმა — 12 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოების მოიჯარე ორგანიზაციებმა — 9 პროცენტით, მათ შორის „მთავართბილისმშენმა" 8 პროცენტით, „ინჟმშენის" ტრესტმა — 10 პროცენტით.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა დაწესებული საიჯარო სამუშაოების მოცულობა 1962 წელს 96 პროცენტით შეასრულეს, აქედან სახალხო მეურნეობის საბჭოს მოიჯარე ორგანიზაციებმა — 100,4 პროცენტით, მათ შორის საქართველოს მახტების მშენებლობის ტრესტისა — 102 პროცენტი, წყალთა მეურნეობის სამინისტროსი — 100 პროცენტით, „მთავართბილისმშენისა" — 100,4 პროცენტით, „ინჟმშენის" ტრესტისა — 102 პროცენტით. ამავე დროს საიჯარო სამუშაოთა გეგმა მშენებლობის სამინისტრომ მხოლოდ 92 პროცენტით შეასრულა, აქედან № 1 ტრესტმა — 94 პროცენტით, № 3 ტრესტმა — 92 პროცენტით № 4 ტრესტმა — 97 პროცენტით, № 5 ტრესტმა — 94 პროცენტით, № 6 ტრესტმა — 83 პროცენტით, № 8 ტრესტმა — 80 პროცენტით, № 9 ტრესტმა — 79 პროცენტით. სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველომ 89 პროცენტით, კავშირგაბმულობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ — 58 პროცენტით, გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" „სოფლმშენის" ტრესტმა — 94 პროცენტით.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა შრომის ნაყოფიერების წლიური გეგმა შეასრულეს. მარშანდელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება თითქმის 8 პროცენტით გადიდდა.

სამშენებლო ორგანიზაციებმა გაუჯობესეს მუშაობა ახალი ტექნიკის დასანერგავად სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებაში, ძირითადად შეასრულეს მთლიანასაწყობი და სანაენებელი მშენებლობის დავალებანი, გაუჯობესეს სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების გამოყენება.

მაგრამ მშენებლობის მასობრივ სამუშაოთა მექანიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის 1962 წლის გეგმა ბევრმა სამშენებლო ორგანიზაციამ ვერ შეასრულა. მთლიანად არ ყოფილა გამოყენებული სამშენებლო ტექნიკა.

IV.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ამიერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) ტვირთბრუნვის წლიური გეგმა შეასრულა 104 პროცენტით, მათ შორის ქვანახშირისა — 111 პროცენტით, ნავთობისა — 130 პროცენტით, შავი ლითონებისა — 107 პროცენტით, ყოველგვარი მადნისა — 112 პროცენტით, ხე-ტყისა — 113 პროცენტით.

საშუალო სადღეღამისო დატვირთვის წლიური გეგმა შესრულდა 104 პროცენტით, მაგრამ საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვის გეგმა არ შესრულებულა. 1961 წელთან შედარებით ტვირთბრუნვა 14 პროცენტით გაიზარდა, საშუალო სადღეღამისო დატვირთვა და საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვა — 12 პროცენტით.

ერთ ტექნიკურ სადგურში ვაგონის მოცდენის საშუალო დროისა და სატვირთო ვაგონის ბრუნვის საშუალო დროის წლიური გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, მაგრამ არ შესრულებულა ერთ სატვირთო ოვრატიაზე ვაგონის მოცდენის წლიური გეგმა.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტმა 1962 წელს გადაზიდა 53 მილიონ ტონაზე მეტი ტვირთი, ამასთან შესრულებულია 642 მილიონზე მეტი ტონა-კილომეტრი.

ტვირთზიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით, მაგრამ ტვირთბრუნვის გეგმა არ შესრულებულა.

1961 წელთან შედარებით ტვირთზიდვა 2 პროცენტით გაიზარდა, ამასთან ტვირთბრუნვა რაშდენადმე შემცირდა.

1962 წელს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტობუსებით გადაყვანილია 266 მილიონზე მეტი მგზავრი და შესრულებულია 1.770 მილიონზე მეტი მგზავრ-კილომეტრი.

მგზაურთა გადაყვანისა და მგზავრბრუნვის წლიური გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

1961 წელთან შედარებით მგზავრთა გადაყვანა 17 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მგზავრბრუნვა — 20 პროცენტით.

სატვირთო ტაქსომოტორების გამოყენების წლიური გეგმა 120 პროცენტით შესრულდა, მსუბუქი ტაქსომოტორებისა—113 პროცენტით.

გზატკეცილების მთავარმა სამმართველომ საავტომობილო გზების კაპიტალური და საშუალო რემონტის 1962 წლის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში (გარდა ადგილობრივი გზებისა) 102 პროცენტით შეასრულა.

1961 წელთან შედარებით საავტომობილო გზების რემონტი 11 პროცენტით გაიზარდა.

1962 წელს გაფართოდა კავშირგაბმულობის საწარმოთა ქსელი. გაიხსნა კავშირგაბმულობის 45 ახალი განყოფილება, 19 ეროვნულთ გაფართოვდა „სოიუზპეჩატის" კიოსკების ქსელი. საქალაქო ტელეფონის სადგურებს და მათ შორის ავტომატური სადგურების სიმძლავრე 3.200 ნომრით გაიზარდა. საექსპლოატაციოდ გადაეცა ავტომატური ტელეფონის სადგურის 3 საქალაქო სადგური და კავშირგაბმულობის 16 შიდარაიონული სადგური. შიდარაიონული კავშირგაბმულობის ავტომატური სადგურების სიმძლავრე 1962 წელს 460 ნომრით გაიზარდა.

შემოსავლის გეგმა მთლიანად კავშირგაბმულობის სამინისტროს ხაზით 101 პროცენტით შესრულდა, 1961 წელთან შედარებით შემოსავალი 4 პროცენტით გადიდდა.

საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ტერიტორიული სამმართველოს საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანილია 11 პროცენტით მეტი მგზავრი, ვიდრე 1961 წელს, მგზავრბრუნვა 10 პროცენტით გაიზარდა. მაგრამ მგზავრთა გადაყვანისა და მგზავრბრუნვის წლიური გეგმა არ შესრულებულა.

V.

ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და ცხოვრების კულტურული დონის ამაღლება

მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიურმა რიცხვმა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში 1962 წელს 160 ათასი კაცი შეადგინა და წინა წელთან შედარებით გადიდდა 55 ათასი კაცით, ანუ 5 პროცენტით.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის (გარდა სამომხმარებლო კოოპერაციის სასურსათო საქონლის საკმისიო ვაჭრობისა) საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობამ შეადგინა 1,330 მილიონი მანეთი და 1961 წელთან შედარებით, შესადარ ფასებში 6,6 პროცენტით გადიდდა. საბოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა ამავე პერიოდში, შესადარ ფასებში 6,2 პროცენტით გაიზარდა. სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვამ, როდესაც ვაჭრობას ახორციელებს სოფლად, შეადგინა 390 მილიონი მანეთი და გასულ წელთან შედარებით 10 პროცენტით გაიზარდა. ამას გარდა სამომხმარებლო კოოპერაციამ ადგილობრივი ბაზრების ფასებში გაყიდა კოლმეურნეობებისაგან საკომისიოდ მიღებული და კოლმეურნეებისაგან შესყიდული 24 მილიონი მანეთის სასურსათო საქონელი. 1961 წელთან შედარებით ასეთი გაყიდვის მოცულობა, შესადარ ფასებში, 18 პროცენტით გაიზარდა.

საცალო საქონელბრუნვის — სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის წლიური გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში, აგრეთვე ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების ხაზით შესრულდა.

საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა შეასრულეს აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საკავშირო ორგანიზაციებმა. საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა ვერ შეასრულეს აფხაზეთის ასსრ და ქალაქ თბილისის საკავშირო ორგანიზაციებმა.

შვიდწლედის ოთხ წელიწადში მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვა, შესადარ ფასებში, 26 პროცენტით გადიდდა.

ცალკეულ სახეობათა საქონლის გაყიდვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში შემდეგნაირად შეიცვალა:

	გაყიდულია 1962 წელს პროცენტებით 1961 წელთან შედარებით
ხორცი, ძეხვეული და სხვა პროდუქტები	91
ერბო-კარაქი	96
მცენარეული ზეთი	121
რძე და რძის პროდუქტები	99
ყველი	109
კვერცხი	86
შაქარი	112
საკონდიტრო ნაწარმი	107
კარტოფილი	100
ბოსტნეული	98
ხილი, კენკრა და ბაღჩეული	87
ბამბის ქსოვილები	106
შალის ქსოვილები და ოაესაფრები	109
აბრეშუმის ქსოვილები	111
შეკერილი საქონელი	108
ტრიკოტაჟის ნაწარმი	106
წინდები	111
ტყავის ფეხსაცმელი	107
ავეჯი	116
საკერავი მანქანები	131
საათები	121
ველოსიპედები და მოტოციკლები	197
რადიოსაქონელი	94

მოსახლეობის მოთხოვნა სახალხო მოხმარების ზოგიერთ საქონელზე მთლიანად ვერ კმაყოფილდებოდა. ბევრი სამრეწველო და სავაჭრო საწარმო ყურადღებას არ ექცევა ხარისხიანი საქონლის, განსაკუთრებით ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებას, რის შედეგად საქონელი, რომელიც მოსახლეობის მოთხოვნით არ საჭიროებდა, ჩაწოლილი იყო მაღაზიებში.

მიღწეულია შემდეგი წარმატებანი სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

დაწყებითი რვაწლიანი და საშუალო სკოლების, მათ შორის მუშა და სოფლის ახალგაზრდების სკოლების მოსწავლეთა რიცხვმა მიმდინარე სასწავლო წელს შეადგინა 804 ათასი კაცი წინა წლის 747 ათას კაცთან შედარებით.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები დაამთავრა და სიმწიფის ატესტატი მიიღო 20 ათასზე მეტმა ქალიშვილმა და ბიჭუნამ.

გაფართოვდა სკოლა-ინტერნატების, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი, საწარმოო სწავლების პოლიტექნიკური სკოლების, ბახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ქსელი.

მიმდინარე სასწავლო წლის დაწყებისათვის რესპუბლიკაში იყო 66 სკოლა-ინტერნატი, სადაც სწავლობდა 19 ათასი კაცი, და საწარმოო სწავლების 1.092 სკოლა, რომლებშიც 9-11 კლასების 71 ათასამდე მოსწავლე საწარმოო სწავლებას გადის; გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში სწავლობდა 6 ათასზე მეტი მოსწავლე.

უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის დაუსწრებელ სასწავლებლებში, სწავლობს დაახლოებით 66 ათასი კაცი, ანუ 10 პროცენ

მეცნიერული სიღრმით და მხატვრის თვალით

აკაკი გაწერელიას „რჩეული წერილების“ გამოცემის გამო

პოეტი აღმოაჩენს ადამიანის, შეგრძნებათა, ფიქრთა, ოცნებათა, ... ბოლოს ... ნერეულ ... ...

ახალი პერსპექტივები

საქართველოში მეცნიერების მრავალი დარგი თავისი მიღწევებით გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. მეცნიერების ამ დარგებს შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ჩვენს სახელმოხვეჭილ მათემატიკურ სკოლას. მეცნიერების ამ დარგის მიღწევები მჭიდროდ არის დაკავშირებული ანდრია რაზმაძის, გიორგი ნიკოლაძის, ნიკოლოზ მუსხელიშვილის, არჩილ სარაძის სახელებთან, რომლებიც დასაწყისშივე ჩაუდგნენ სათავეში მათემატიკური მეცნიერების საქმეს საქართველოში.

თბილისის უნივერსიტეტიდან აიდგა ფეხი საქართველოში მათემატიკურმა მეცნიერებამ, საბჭოთა ხელისუფლების წლებში აუვავდა და გაიფურჩქნა იგი. წამოიზარდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი მათემატიკოსები, რომლებმაც განამტკიცეს და ბრწყინვალედ განავითარეს ძველი თაობის შესანიშნავი მეცნიერული ტრადიციები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ჩამოყალიბდა მათემატიკური ინსტიტუტი, რომელსაც შემდგომ სახელოვანი ქართველი მათემატიკოსის ა. რაზმაძის სახელი მიენიჭა.

ქართველმა მათემატიკოსებმა დიდმნიშვნელოვანი შემოქმედებითი წვლილი შეიტანეს მათემატიკურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში. ა. რაზმაძის გამოკვლევანი ვარიაციათა აღრიცხვაში, გ. ნიკოლაძისა — ალგებრულ და დიფერენციულ გეომეტრიაში ფართოდ არის ცნობილი. საქართველოს მათემატიკური სკოლის სახელი ცნობილია იმ დიდი მიღწევებით, რომლებიც დაკავშირებულია ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელთან და შეეხება დრეკადობის მათემატიკურ თეორიას და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიას; კერძოდ, დრეკადობის თეორიაში ქართველი მათემატიკოსების მიერ მიღებული შედეგები შეადგენს ამ დარგის თანამედროვე მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს და ასეთად აღიარებულია საყოველთაოდ.

არანაკლებ მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული მათემატიკის სხვა წამყვან დარგებში (ფუნქციათა თეორია, მიახლოებითი ანალიზი, გეომეტრია და სხვ.). ჩვენი მათემატიკური მეცნიერების მიღწევები გამდიდრეს მაღალხარისხოვანი შრომებით ი. ვეკუას, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. კუპრაძემ და სხვებმა.

ყველა ამ და სხვა თვალსაჩინო მიღწევებმა განაპირობა საქართველოს მათემატიკური საზოგადოების დაარსება.

ეს იყო 1962 წლის 29 დეკემბერს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ინიციატივით მოწვეულმა საზოგადოების დამფუძნებელმა კრებამ ფარული კენჭისყრით აირჩია მათემატიკური საზოგადოების გამგეობა 17 კაცის შემადგენლობით და მათ შორის საზოგადოების პრეზიდენტი. არჩეულ იქნა აგრეთვე საზოგადოების ორი ვიცე-პრეზიდენტი, სწავლული მდივანი და ხაზინადარი.

საქართველოს მათემატიკური საზოგადოების პრეზიდენტად არჩეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. დ. კუპრაძე, ვიცე-პრეზიდენტები არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლ. პ. გოკიელი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. პ. ვეკუა; საზოგადოების სწავლული მდივანია ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ლ. გ. მაღნარაძე, ხაზინადარია ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გ. ა. ლომაძე.

საზოგადოებამ უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები. შეიქმნა პედაგოგიურ-მეთოდური სექცია, რომლის თავკერი დანიშნულებაა საშუალო და უმაღლეს სკოლებთან მეცნიერ მათემატიკოსთა კავშირის განმტკიცება მათემატიკის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

დამტკიცებულია საქართველოს მათემატიკური საზოგადოების წესდება, რომელშიც ჩამოყალიბებულია საზოგადოების მიზნები და ამოცანები, წევრთა უფლებები და მოვალეობანი. საზოგადოება მიზნად ისახავს ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ქართული ორიგინალური სამეცნიერო-მათემატიკური სკოლის შემდგომ განმტკიცებას და განვითარებას, ახალი თანამედროვე მიმართულებების ჩასახვას და განვითარებას.

საზოგადოება თავის ერთ-ერთ უახლოეს ამოცანად ისახავს უმაღლეს სახწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების განხილვას მათემატიკაში. ყურადღება მიექცევა ტიპიური ხასიათის შეცდომებს, რაც დაეხმარება სკოლებს ამ შეცდომების მიზეზების აღმოფხვრაში. ახლო ხანში, საზოგადოება მოახდენს საშუალო და უმაღლეს სკოლებში ხმარებული მათემატიკური ტერმინების უნიფიკაციას; ყველა ღონისძიებას გაატარებს ზოგადი განათლების სკოლაში მათემატიკის სწავლებასა და კერძოდ დაწყებით სკოლაში არითმეტიკის სწავლების საქმის მოწესრიგებისათვის; აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების შედგენაში.

ყოველი თვის უკანასკნელ სამშაბათს მოეწყობა საზოგადოების საერთო კრება. პირველი ასეთი კრება გაიმართება დღეს, 29 იანვარს. მოსმენილ იქნება საზოგადოების პრეზიდენტის ვ. კუპრაძის მოხსენება საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებზე, ლ. გოკიელისა — „მათემატიკა და თანამედროვეობა“ და სხვ.

მეტად დიდი ამოცანები დაისახა მათემატიკურმა საზოგადოებამ. ეჭვი არ არის, რომ იგი წარმატებით გადაწყვეტს მათ.

ვუსურვებთ საქართველოს მათემატიკურ საზოგადოებას ახალ შემოქმედებითს წარმატებებს მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

ახალი სპექტაკლები

მახარაძე. (საკ. კორ.). სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — მ. ნარნიასა და თ. ფერაძის „მეისრე“, რომლის დადგმა განახორციელა თეატრის დირექტორმა ბ. ნაკაიძემ.

ზესტაფონი. (საკ. კორ.). დიდი ხანი არ არის, რაც აქ შეიქმნა სახალხო თეატრი. სახალხო თეატრმა მაყურებელს პირველ წარმოდგენად უჩვენა დრამატურგ მ. ჯაფარიძის „ყამთაბერის ასული“.

სპექტაკლი დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა ა. გუბელაძემ.

ბორჯომის სახალხო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა თ. ფერაძის პიესა „ჩაუქრობელი ვარსკვლავი“.

ნაწარმოების თემად აღებულია ბორჯომის მკვიდრის, კომკავშირელ ერონის ინაურის გმირობა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში.

ნ. გომართელი.

ტურისტული სეზონი დაიწყო

სოხუმი. (საკ. კორ.). „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ — ასე აწერია სოხუმის ტურისტული ბაზის შესასვლელს. გასული წლის ტურისტულ სეზონში ამ ბაზამ 18 ათასი ტურისტი გაატარა და აქედან 3.500 კაცმა მიიღო ნიშანი — „სსრ კავშირის ტურისტი“. კიდევ უფრო გაიზრდება მიმდინარე წელს მათი რაოდენობა. როგორც სოხუმის ტურისტული ბაზის დირექტორმა ა. მოსიძემ განაცხადა, — წელს სხვადასხვა მარშრუტის 20 ათასზე მეტ ტურისტს მიიღებენ.

ტურისტთა მისაღებად სათანადოდ მოემზადა სოხუმის ტურისტული ბაზა. კეთილმოეწყო სამზარეულო, საზამთრო კორპუსში დაიდგა ცენტრალური გათბობის მოწყობილობა, რის შედეგადაც ბაზა მომავალ წლებში განუწყვეტლივ იმუშავებს. ტურბაზის მუშაკებისათვის შენდება ახალი 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი.

წელს მრავალი ახალი მარშრუტის ტურისტები ეწვევიან ბაზას. მათ შორის იქნებიან სტუმრები დემოკრატიული სახელმწიფოებიდან.

წინა წლებისაგან განსხვავებით, წელს ადრე დაიწყო ტურისტული სეზონი. აქ პირველად მოვიდნენ 268 და 311 მარშრუტების ტურისტები. პირველი მარშრუტი იწყება თბილისში და მთავრდება გაგრაში, ხოლო მეორე მარშრუტი ასეთია: ბაქო-ერევანი-კიროვაკანი-თბილისი-ქუთაისი-სოხუმი-გაგრა. სოხუმის ტურისტულ ბაზაში უკვე 120-ზე მეტი ტურისტი ისვენებს.

* * *

სურათზე. ტურისტთა პირველი ჯგუფი სოხუმის ტურისტულ ბაზაში.

ფოტო მ. ტოლმაჩოვისა.

ა. გელიაშვილის მოთხრობები ოსურ ენაზე

ცხინვალი. (საკ. კორ.). ახლახან სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ოსურ ენაზე გამოსცა ცნობილი ქართველი მწერლის აკაკი ბელიაშვილის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული.

კრებულში შესულია 22 მოთხრობა. მათ შორის „არაშენდური ტრაგედია“ „სპარტაკელი“, „ბაგრატა“, „ქორწილი“, „შეხვედრა“, „ქოჩორა“, „ღირსეული სასჯელი“.

მოთხრობები თარგმნეს ოსმა მწერლებმა რევაზ ასაევმა, გიორგი ბესთაუთინ, დავით ჯოიევმა და მიხეილ ნართიკოევმა.

მგზავრთა უკეთ მომსახურებისათვის

ჩაქვის რაიონის სოფლები სამანქანო გზებით დაიკეტა. ახლა სოფლებში გადუყვეტლივ დაქირიან ავტობუსები. დღითიდღე უმჯობესდება მგზავრთა მომსახურება. იაირნის სოფელ ფყვიზის კოლმეურნეობამ მგზავრთა უკეთ მომსახურებისათვის სოფლის ტერიტორიაზე ორი კაპიტალური მოსაცდელი აა გო.

ს. კაიკაციშვილი.

ზღვის ფვილთა მეგობრობა

ბრძოლდება ყდანოვისა და ფოთის ნავსადგურების კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის მეხუთე წლის საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ფოთელი ნავსადგურელები, დადგნენ რა წინასაარჩევნო შრომითს ვახტზე, სულ უფრო ზრდიან ტვირთბრუნვას, ამცირებენ სახალხო-სამეურნეო ტვირთების გადამუშავების დროს, ზოდიან შრომის ნაყოფიერებას.

ინანურში მიღებული გემები ჩქაროსნულად იქნა გადამუშავებული. მათ შორის „ტრუსკავეცი“ 4 საათით ადრე გაუშვეს მორიგ რეისზე, „მტკვარი“ და „ირკუტსკი“-2 საათით ადრე, „კურგანი“ — 1 საათითა და 20 წუთით ადრე. შრომაში თავი ისახელეს მეამწეებმა ვ. გაწერელიამ, ტ. ყალიჩავამ, გ. დარსაძემ, ი. კუზმენკოვმა, აგრეთვე მ. მამფორიას, ტ. ბელის, ა. მექვაბიშვილის მტვირთავთა ბრიგადებმა.

სულ უფრო მატულობს უცხოეთის გემების რაოდენობა. ამ დღეებში გემმესადგომებთან ღუზა ჩაუშვეს შორეული გვინეიდან მომავალმა რეფრიჟერატორებმა და ნორვეგიის კემებმა „მენფრუტმა“ და „ოანდი ბროვიგმა“. გვინეისა და ნორვეგიის გემებმა ფოთში ჩამოიტანეს ანანასი, ბანანი და სხვა ხილი.

გემების დაცლა-დატვირთვის პირველში უცხოელ მეზღვაურებს გულთბილ შეხვედრებს უწყობენ ფოთის ნავსადგურის კლუბში.

ჯ. კომახიძე.

მამაცი მონადირე

ამას წინათ ზნაურის რაიონის სოფელ ერედვის ტყის მცველმა ნ. ბახტაძგიშვილმა თანასოფლელებს აცნობა, მგელს 33 სული ცხვარი გაუნადგურებიაო.

მონადირე ვ. ტურაშვილი სასწრაფოდ გაემგზავრა ნადირის მოსასპობად. მეორე დღეს მგელი უკვე მოკლული იყო.

ასეთი შემთხვევა იშვიათი არ არის ამ მამაცი მონადირის ცხოვრებაში. ვ. ტურაშვილს მოკლული ჰყავს 60 მგელი, 12 მელა, კვერნა და სხვ.

ვ. ტურაშვილი ამჟამთანავე ერედვის სყორდენ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობის მოწინავე ბრიგადირია და სოფელში მშრომელთა დიდი პატივისცემით სარგებლობს.

ს. ცოტნიაშვილი.

შემთხვევა ზღვაში

დიდსულოვანი დახმარება

საბჭოთა ტანკერი „ალაგირი“ ნავთობპროდუქტებით დატვირთული საფრანგეთის ნავსადგურ ბორდოდან დიუნკერკისაკენ მიდიოდა. ზღვა ბობოქრობდა. შტორმი რვა ბალს აღწევდა. 18 იანვარს 18 საათსა და 15 წუთზე საბჭოთა ტანკერიდან წიოელი რაკეტები შეამჩნიეს. რომელიღაც გემი შველას ითხოვდა. საბჭოთა ტანკერმა სწრაფად შეცვალა კურსი და დაასამარებლად გაემართა. გემი, რომელსაც ხიფათი მოელოდა, აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების კარვანი № 1561. ყველა ზომა იქნა მიღებული ხიფათში მყოფი კარვანისათვის ბუქსირის მისაშველებლად. მაგრამ როდესაც ტანკერი რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ კარვანს მიუახლოვდა, დიდმა ტალღამ კარვანი აატივტივა და საბჭოთა ხომალდს მიახეთქა. ტანკერი წყლის ქვეშა ნაწილში გაიბზარა. საბჭოთა ხომალდის ეკიპაჟმა სწრაფად შეაკეთა დაზიანებული ადგილი და აღადგინა მაშველი სამუშაოები. ტანკერ „ალაგირის“ რადიოსადგურმა საფრანგეთის სანაპიროს რადიოსადგურს გადასცა თხოვნა გამოეგზავნათ ბუქსირი. მაგრამ ძლიერი შტორმის გამო ბუქსირს ავარიის ადგილამდე მისვლა არ შეეძლო. საბჭოთა მეზღვაურები მარტონი განაგრძობდნენ მაშველი სამუშაოებს. 19 იანვარს 13 საათსა და 35 წუთზე მოხერხდა კარვანზე ბაგირის გადაცემა და ტანკერმა ნელი სვლით წაიყვანა კარვანი. მაგრამ შეიძლებოდა ბაგირს ვერ გაეძლო და გამწყდარიყო, ხოლო ლიფონის ტროსის ამოღება ამერიკის კარვანის ეკიპაჟის წევრებს საკუთარი ძალებით არ შეეძლოთ. საბჭოთა ტანკერიდან ჩაუშვეს ნავი და, სიცოცხლის ხიფათში ჩაგდებით, კარვანზე გადავიდა მაშველი ჯგუფი კაპიტანის პირველი თანაშემწის კრავცოვისა და უფროსი შტურმანის დუდჩენკოს ხელმძღვანელობით.

თორმეტი ამერიკელი სამხედრო მეზღვაური მხურვალე მადლობას უხდიდა საბჭოთა მეზღვაურებს.

20 იანვარს 21 საათსა და 45 წუთზე ამერიკის კარვანი უვნებლად ჩაიყვანეს საფრანგეთის ნავსადგურ სენ-ნაზერში.

აღმოჩნდა, რომ ამერიკის სამხედრო კარვანი № 1561 17 იანვარს 18 საათსა და 35 წუთზე ქარიშხალს მოეწყვიტა ლუზიდან საფრანგეთის ნაპირებთან და ოკეანეში გაეტაცა. მწყობრიდან გამოვიდა რადიოსადგური და ორი ძრავი სამიდან. კარვანმა დაკარგა მართვა. მასზე მყოფ მეზღვაურებს გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდათ.

სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრმა ვიქტორ ბაკაევმა მადლობა გამოუცხადა ტანკერ „ალაგირის“ ეკიპაჟის წევრებს, რომლებმაც ძნელ პირობებში დახმარება გაუწიეს დასაღუპავად განწირულ ამერიკელ მეზღვაურებს.

საგენტო „ახალი ამბები“.

მხატვარი და მოქალაქე

ცხრაას ორმოცდასამი წლის შემოდგომა იყო, ის დღეები, როცა ანაპის ქართული დივიზიის მამაცმა ჯარისკაცებმა, მობმე ხალხთა შვილებთან ერთად, იერიში მიიტანეს ბერძენ-ელინელების ე. წ. „ცისფერ ხაზზე“, რომელიც გადაჭიმული იყო თემერიუკიდან ნოვოროსიისკამდე. იმ დღეებში ანაპის დივიზიის მეომრებს ფრონტზე ესტუმრა მხატვარი შალვა მამალაძე, რომელმაც მოიარა გარლიანიის მთაც და ვიშესტებლიევსკაიას მიდამოებიც, ინახულა „ცისფერი ხაზის“ დაგლეჯილი მათეულხლართები, აფეთქებული საცეცხლე წერტილები, დანახშირებული მესერშიტები, ესაბრა და დაუძმობილდა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. მათთან ერთად ათია ღამეები ძელმიწურებში და ყოველივე ამის შედეგად შექმნა ომის პეიზაჟებისა და მებრძოლთა პორტრეტების მთელი სერია, რომელმაც ახალი, მართლაც სახელოვანი ფურცელი შემატა ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ისტორიას.

ათვალიერებთ პორტრეტების ამ ციკლს... აი მათი სახეები, ვინც იმ განსაცდელში, ტყვიისა და ცეცხლის წვიმაში მიიწევდა წინ — არადრამგდები სიკვდილისა და არდამრიდებელი საფრთხისა. შალვა მამალაძის პორტრეტების ციკლში აღბეჭდილი არიან გენერალი გიორგი ყურაშვილიც და რიგითი ჯარისკაცი ოსიკ ტუხაშვილიც, პოდპოლკოვნიკი ქრისტეფორე გაფრინდაშვილიც და უფროსი სერჟანტი სერგო კორძაია. აქვე არიან ოფიცრები — ნიკოლოზ ქურდაძე, სევერიან ვასაძე, გრიგოლ ყიფშიძე, აქვეა პეიზაჟები ბრძოლის ველისა. აქვეა მიწასთან გასწორებული ანაპა და ყოველივე ეს ჩვენს თვალწინ აცოცხლებს იმ გარდასულ დღეებს.

გასაგებია, რომ ეს პორტრეტები უჩვეულო ვითარებაში იქმნებოდა. არც კი ეჭქმის სეანსი იმას, ჯარისკაცი მხატვრის წინ წუთით რომ ჩამოჯდებოდა და პორტრეტი რომ მოთავდებოდა, ნახევარი საათის შემდეგ, ან უფრო ადრეც ის ჯარისკაცი ან დაზვერვაში უნდა წასულიყო, ან თავის გათვლას უნდა შეერთებოდა, რათა სროლა აეტეხა მტრისათვის. და მეომართა ამ ფიქრებს, ამ მოლოდინს ბრძოლისას ჩვენ ნათლად ეკითხულობთ ამ პორტრეტებზე, მებრძოლთა ფართოდ გახელილ თვალებში, გაშლილ მხრებში; აქ ჩანს სული ადამიანისა და, იმავე დროს, ამ ნახატებს არავითარი აჩქარების კვალი არ ანჩიათ და ეს იმიტომ, რომ მხატვარმა თავისი ფანქარი დაუმორჩილა ის ცხოველ რიტმს, იმ მაჯისცემას, რომელიც ფრონტისათვის იყო დამახასიათებელი. აქ ბრძოლის ველის სუნთქვა გესმით. ამ გზით წარმოქმნა შალვა მამალაძემ შესანიშნავი რეალისტური პორტრეტები, რომლებშიც ჩანს ეროვნული ხასიათები, ქართველი ვაჟკაცის შემართება.

ფრონტზე მოგზაურობიდან დაბრუნებისას შალვა მამალაძემ არა მარტო ეს ჩანახატები გამოაქვეყნა თბილისის გაზეთებში, არამედ დაწერა მშვენიერი ნარკვევი „ფრონტელებთან“, რომელშიც მთელი ძალით იგრძნობოდა მხატვრის პატრიოტული მგზნებარება და კეთილშობილური გული.

ალვა, როცა შალვა მამალაძე მოულოდნელად, სამუდამოდ წავიდა ჩვენგან, ყველაზე უწინ ზემოთაღწერილი ამბები გამახსენდა. იქნებ იმიტომ, რომ აქ მთელი სიმძაფრით კიდევ ერთხელ გამოჩნდა ჩვენი ეპოქის მხატვრის მაღალი მოქალაქეობრივობა, შალვა მამალაძემ კიდევ ერთხელ დამტკიცა, რომ ნამდვილი ხელოვნება არის გმირობა, არის მოწოდება, ქეშმარიტების, სილამაზისა და ხალხის მსახურება; ჩვენს დროში ხელოვანი მხიარული ნადიმის მონაწილეთა შემქცევ-გამართობელი კი არ არის, არამედ, როგორც ჰაენე ამბობდა, ჯარისკაცი იმ წმიდა ბრძოლაში, რომელაც კაცობრობა თავისი ნათელი მომავლისათვის აწარმოებს.

ეი ასეთად გამოჩნდა შალვა მამალაძე იმ მკაცრ ეპიკურ დღეებში. და ეს შინ უფრო აღსანიშნავია, რომ მის ირსებაში, მთელ მის შემოქმედებაში ლირიკული საწყისი სპარობდა; მამაა დუდუჩავამ თავის წერილში მას „ქართული პეიზაჟის სიმღერმოყვარე მგოსანი“ უწოდა და სწორად აღნიშნა, რომ მისი ქმნილებები „თითქმის არსად არ ატარებენ ეპიკურ ხასიათს, ისინი ლირიკულ ატმოსფეროთ“. და მართლაც, მამალაძის პეიზაჟებს — ქართული ბუნების ამ უალრესად ორიგინალურ სურათებს რაღაც საოცარი ინტიმი აქვთ — მხატვარი თითქოს საგანგებოდ არჩევს ისეთ წუთებს, როცა ბუნება, თითქოს „დაღლილი, წუთით მინაბული და ისვენებს. აი თუნდაც მისი „კახეთი“ (აკვარელი). ირგვლივ სიწყნარე და მყუდროებაა, ცხვრებსაც ჩასთვლემიათ ხის ჩრდილში და მწყემსიც მშვიდად გასცქერის აქეთ წამოსულ მგზავრს, ცხენს რომ მოაჯენინებს. იქით კი, შორს, დგანან მწვანე-მუქი მთები, ჰორიზონტი რომ ჩაუკეტავთ. და ისე გამქვირვალეა ჰაერი, ისე სუფთაა, რომ მორეული მთებიც თითქოს ახლოს მოსულან. კიდევ ერთი ზოგადი შტრიხი: შალვა მამალაძე საქართველოს მთების რაღაც საოცარი და გულთამხელველი მცოდნეა. მის ფერწერულ ტილოზე თუ გრაფიკულ ნახატში, წარწერაც რომ არ ჭქონდეს, უმალ იცნობ მთას, მიხვდები სად მდებარეობს ის — მთავარ კავკასიონზე თუ ჯავახეთში, კახეთსა თუ აფხაზეთში. მთა თუ მდელო აქ დანახულია მისი განუმეორებელი და ინდივიდუალური „ხასიათით“.

ამ ლირიკული და ემოციური საწყისის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა „ნიკორწმინდა“ (ზეთი, 1962 წ.), რომელსაც რაღაც ანათესავებს გალაკტიონ ტაბიძის უკვდავ შედევრთან — „ქებათა ქება ნიკორწმინდასა“. მხატვრის პეიზაჟში თითქოს სიზმარშეჭნახულსა ჰგავს ეს ცაში ატყორცნილი ტაძარი. ირგვლივ გაბეთქილ მწვანეში ჩაფლული სოფელია, სადაც სახლებს წვრილი სახურავები ვარდისფრად ბრიალებენ... და ყველაფერს ამას თავს დაჰყურებს აქეთ-იქიდან მთებით ჩაკეტილი ზეცა. უნებურად აქ ისევ გალაკტიონის უკვდავი სტრიქონები გაგონდებათ — „ვინაც აშენა და ცაში დაამშვენა“...

შალვა მამალაძის რეალიზმის თავისებურება ის არის, რომ ის ოდესღაც ირჩევს თავისი სურათების თემად მუდამ ასეთ ღამაზ ადგილებს; არა, ის ხედავს უბრალო, მორცხვ და ჩუმ სილამაზეს, რომელიც მიმოფრქვეულია ყველგან, რომელსაც იდუმალად განუმსჭვალავს ყველაფერი — მთელი მიდამო, მთელი სამშობლო. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი „ეზო იმერეთში“, „ალაზანი“, „წისქვილი რაჭაში“, „ქართლის ყანები“, „კახეთი“, „ბურულები“. და მრავალი სხვა. აქ ჩვენ ვხედავთ, რაოდენ დიდი შესაძლებლობანი აქვს პეიზაჟს, რათა ბუნების გამოსახვის საშუალებით გადმოგვცეს ღრმად ადამიანური განცდები და ის უბრალო, მაგრამ მოახიბვლელი სილამაზე, რომელიც აქვს სამშობლო ქვეყანას. ასე იქცევა ბუნების თემა სამშობლოს თემად, ხალხის ცხოვრების თემად. და ამ მხრივ, შალვა მამალაძის ყოველ ნაწარმოებს ენიჭება ღრმად პატრიოტული ძალა, ყოველი სურათი აქ გაგრძნობინებს, რომ ეს არის შენი სამშობლო, უფრმლოსოდ გაძლება ქვეყნად არ შეგიძლია.

ზემოთ ჩვენ ვახსენეთ შალვა მამალაძის საფრონტო ჩანახატების სერია. მას საერთოდ წესად ჰქონდა ამა თუ იმ თემისათვის მიეძღვნა სურათებისა და ნახატების მთელი, მეტად ვრცელი სერიები; მის მემკვიდრეობაში ცალკე სერიები აქვს მიძღვნილი კახეთს, ჯოლეთს, რაჭას, ტყიბულს, თიანეთს, დუშეთს, ახალქალაქს, უზბეკეთს, ფრონტს. ეს სერიები მხატვრის ნაწარმოებებისა თავიანთი გამის მიხედვით ძლერ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან; ცხადია, ეს ბიების პროცესიაც არის და, ამავე დროს, თავისებურებანი აქ გაპირობებულია თვით ადგილის, თემის ლოკალით, თავისებურებით. ბუნების ამ შესანიშნავი მოძღვრის სურათები დაგვეტარებენ მთელ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც, გვერენებენ ყოველი კუთხის განუმეორებელ სილამაზეს, რომელიც უბრალო თვალს ხშირად შეუმჩნეველი რჩება ხოლმე.

ძნელია საგაზეთო წერილში მთლიანად დაახასიათო შ. მამალაძის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. თავის დროზე მან თვალსაჩინო ამაგი დასდო თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსების საქმეს, შემდეგ, წლების მანძილზე სათავეში ედგა საქართველოს მხატვართა კავშირს. მერე კვლავ აკადემიას დაუბრუნდა, როგორც ფერწერის კათედრის პროფესორი. ამასთან ერთად, ის მუდამ აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მხატვართა ნაწარმოებებს გამოფენებში და მუდამ ყურადღებას იქცევდა როგორც შესანიშნავი რეალისტი-მხატვარი, პეიზაჟური ჟანრის ბრწყინვალე ოსტატი.

შალვა მამალაძე ერთ-ერთი პირველი იყო მათ შორის, ვინც ესოდენ მტკიცე ფუძე დაუდო ჩვენს ქართულ საბჭოთა სახვითს ხელოვნებას. მან ახალი ბრწყინვალე ფურცლებით გაამდიდრა ახალი ქართული ფერწერაც და გრაფიკაც. და ქართული ხელოვნების ისტორიკოსიც მას მუდამ მოიხსენიებს იმ მოწინავე და სახელმოხვეჭილ ოსტატთა შორის, რომლებსაც წინ მიჰყავდათ შშობლიური ქვეყნის ხელოვნება და ახალ გზებს უკაფავდნენ მას.

გიორგი ნატროშვილი.



„ბარაკონი“. რაჭა. — მხატვარი შ. მამალაძე.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

29 იანვარი

12.00 — მხატვრული ფილმი „მატარებელი მიდის აღმოსავლეთისაკენ“, 18.00 — „პიონერული ახალი ამბები“, 18.15 — გადაცემა მოსწავლეთათვის ციკლიდან — „კინოფირი გვიამბობს“, 18.40 — გადაცემა ციკლიდან — „ნოემბრის პლენუმის გადწყვეტილებები მოკმედებაში“, 19.00 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.30 — შ. არაგვისპირელი — „მიწაა“ (სატელევიზიო ინსცენირება), 20.10 — კინონარკვევი, 20.30 — ახალი ამბები, 20.45 — კინოჟურნალი, 20.55 — მშობელთა ტელეუნივერსიტეტი, 21.15 — მხატვრული ფილმი „სხვადასხვა ბედი“.

თეატრები

29 იანვარი

რუსთაველის სახელობის — მესამე სერვილი (მე-9 აბონ. 1-ლი სპექტაკლი), **გრიბოედოვის სახელობის** — ორნი საკანელზე (1-ლი აბონ. მე-5 სპექტაკლი), **სანკულტურის** — ოჯახური დავიდარაბა, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — პრინცესა ტურანდოტი (აბონ. № 11, 4 ს.).

29 იანვარი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი, სპარტაკი, **საქართველო** (რიოელი დარბაზი), **კოლხიდა** — გზა დასავლეთისაკენ, **თბილისი** — სიკვდილმისჯილი გაქცა, **კომკავშირელი, საქართველო** (მწვანე დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი. ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), **კომუნარების ბაღი, კოსმოსი** — მკვდარ მარყუჟში, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **გაზაფხული, ნაკადული** — ეკვმტანილი, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — მამაცი ადამიანები.

ეკრანი

30 იანვარი

პირველი პროგრამით

06.40 — ქართული ხალხური სახუმარო სიმღერები, 08.30 — პოპულარული საოპერო მუსიკის კონცერტი, 09.10 — ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა კამერული ნაწარმოებები, 10.30 — გადაცემა — „ახალი წიგნები“, 10.45 — სიმღერები ტ. მახარაძისა და გ. ბუღაძის შესრულებით, 11.15 — საოპერეტო მუსიკა, 12.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის ციკლიდან — „ბოგიოსნრობთ თქვენს თანატოლებზე“, 12.15 — მენდელსონი. შოტლანდიური სიმფონია, 13.40 — საბჭოთა კამერული მუსიკის კონცერტი, 17.15 — ბ. კვერნაძე. სიმფონიური ციკლი — ფანტაზია, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.10 — ლისტი. პარაფრაზი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 18.45 — ქართული მსუბუქი მუსიკის კონცერტი, 19.30 — საუბარი — „ენერგიის ქიმიური გარდამქმნელები“, 20.15 — კონცერტი, 21.00 — რადიოკომპოზიცია — „მოგზაურობა სიმფონიის სამყაროში“, 22.00 — ვ. სულაკაურის ნარკვევი: „ყოჯა“, 23.30 — გასართობი მუსიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევები • ცნობები • ფაქტები • სპორტული ამბები

ა. გელიაშვილის მოთხრობები ოსურ ენაზე

ბრწყინვალე ფინიში

მოსკოვის ღია ჩემპიონატს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ ჩვენი ქვეყნის არაოფიციალური პირველობა ჩოგბურთში, რადგან კორტებზე მებრძოლთა შორის ვხედავთ საბჭოთა კავშირის საუკეთესო სპორტსმენებს.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით წყვილთა ასპარეზობაში გამარჯვებულებზე. შეორეულ წყვილებში უძლიერესები იყვნენ დმიტრიევა-ლიხაჩოვი.

მეტად პრიხციპული ბრძოლა იყო მოსალოდნელი ა. მეტრეველისა და ვ. ეგოროვის ფინალურ ასპარეზობაში. ეს იყო მოსკოვის ღია ჩემპიონატის ცენტრალური შეხვედრა. რომ არაფერი ვთქვათ იმ შეუპოვრობაზე, ამაღელვებელ მომენტებზე, რომლებიც თეორ ზოლად გასდევდა პაექრობას, შეგვიძლია მოვიყვანოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი — შეჯიბრება ორნახევარ საათს გრძელდებოდა. ბოლოს სასწორი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლის მხარეზე გადაიხარა. მეტრეველის დაშრეტელმა ენერგიამ, გაბედულმა, ინიციატივიანმა თამაშმა შედეგი გამოიღო, მან დაამარცხა ძლიერი მეტოქე ინგარიშით 3 : 2.

ეს გამარჯვება ახალგაზრდა სპორტსმენს ა. მეტრეველის ბრწყინვალე მიღწევად ითვლება. მან დედაქალაქს ღია ჩემპიონატში პირველი ადგილი და ჩემპიონობა მოუპოვა.

ქალთა შორის ფინალში გაიმარჯვა დმიტრიევამ.

ი. დონერი — ტურნირის გმირი

ჰოლანდიელები განსაკუთრებით ცმაყოფილი არიან ვაჟთა საჭადრაკო ტურნირის შედეგებით. მათი თანამემამულე ი. დონერი წარმატებით იბრძოდა ფინიშთან და 12 ქულით პირველი ადგილი დაიკავა.

ტურნირის გმირს — ი. დონერს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა საბჭოთა გროსმაისტერი დ. ბრონშტეინი. იგი მეორე ადგილზე გამოვიდა.

„ტრუდ